



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 442
02/07/2018

442-09-4-201807021434



ბრძანება

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში მუნიციპალური მომსახურების ცენტრის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.07.34.260) დამტკიცების შესახებ

მიმდინარე წლის 22 მაისს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის №5471/09 განცხადებასთან დაკავშირებით, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში მუნიციპალური მომსახურების ცენტრის მშენებლობისათვის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.07.34.260) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე და მე-IX-ე თავების მოთხოვნათა შესაბამისად დამუშავებული დოკუმენტაცია. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დამტკიცდეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში მუნიციპალური მომსახურების ცენტრის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.07.34.260).


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე და მე-

IX-ე თავების და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ანზორ ცეცხლაძის 2018 წლის 07 ივნისის N1350-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დამტკიცდეს აჭარის ა. რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროპროექტების მართვის ცენტრის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.07.34.260) ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში მუნიციპალური მომსახურების ცენტრის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა.ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 3) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა N5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა